



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი კველიშვილი

12 დეკემბერი 2024 წელი

N 35/36

ეგზ.: N1

საქართველოს ეროვნული ბანკის 2022-2023 წლების
კაპიტალური და ადმინისტრაციული ხარჯების
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	შემაჯამებელი მიმოხილვა	3
	რეკომენდაციები	5
	1. შესავალი	6
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	6
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	6
	აუდიტის საგანი	6
	აუდიტის მასშტაბი	6
	აუდიტის კრიტერიუმები	6
	აუდიტის მიზანი	7
	აუდიტის მეთოდოლოგია	7
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	8
	2. აუდიტის მიგნებები	10
	საკონტაქტო ინფორმაცია	17

ტერმინები და შემოკლებები	სებ – საქართველოს ეროვნული ბანკი.
	საბჭო – საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო.
	შესყიდვების სააგენტო – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.

შემაჯამებელი მიმოხილვა

შესყიდვები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს ეროვნული ბანკის 2022-2023 წლების კაპიტალური და ადმინისტრაციული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის ხარვეზები

საბაზრო ღირებულებასთან მაქსიმალურად მიახლოებული შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა მნიშვნელოვანია შესყიდვის წარმატებით ჩატარებისა და სეზ-ის რესურსების არაეკონომიურად განკარგვის რისკების მინიმიზაციისთვის. მიუხედავად იმისა, რომ 2022-2023 წლებში ტენდერის საშუალებით შესყიდვის განხორციელებისას სეზ ითვალისწინებდა შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციებს ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით, რიგ შემთხვევებში, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება ვერ განისაზღვრა საბაზრო ღირებულებასთან მაქსიმალურად მიახლოებული თანხით და ტენდერებში დაფიქსირდა ფასების მნიშვნელოვანი კლება.

ორი ტენდერის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, რომ სეზ-ს არ დაურღვევია შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციები ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით, სეზ-ს შესაძლოა ჰქონოდა საშუალება მომსახურება შეეძინა 20,400 ლარით ნაკლები ღირებულებით.

გამარტივებული შესყიდვების მოსამზადებელ სამუშაოებთან დაკავშირებული ხარვეზები

2022-2023 წლებში მონეტარული ზღვრების ფარგლებში განხორციელებულ 34,625 ლარის გამარტივებულ შესყიდვებთან დაკავშირებით, სეზ-ის მიერ არ არის სრულყოფილად შესრულებული შესყიდვასთან დაკავშირებული სამუშაოები, ვინაიდან სეზ-მა ვერ წარმოადგინა შესყიდვის განხორციელებამდე ობიექტის მახასიათებლების და ღირებულების დადგენის მიზნით ჩატარებული სამუშაოების დოკუმენტაცია.

შრომის ანაზღაურება

სეზ-ის საბჭოს წევრთა დამატებითი სარგოს ოდენობის განსაზღვრა

2016 წელს საქართველოს პარლამენტს მიენიჭა უფლებამოსილება,¹ განესაზღვრა სეზ-ის საბჭოს წევრთა დამატებითი სარგო, თუმცა მისი ოდენობა პარლამენტს შესაბამისი სამართლებრივი აქტით არ დაუმტკიცებია. ასეთ შემთხვევაში, საბჭო ამტკიცებს საბჭოს წევრთა დამატებითი სარგოს ოდენობას, რომელიც საბჭოს გადაწყვეტილებით 2023 წლამდე შეადგენდა 6,500 ლარს, ხოლო 2022 წლის ნოემბერში საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, 2023 წლიდან მისი ოდენობა განისაზღვრა 10,400 ლარით. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის მოთხოვნები არ დარღვეულა, მნიშვნელოვანია სეზ-ის საბჭოს წევრთა დამატებითი სარგოს ოდენობა დაადგინოს პარლამენტმა.

პრემიის დასაბუთებასთან დაკავშირებული ხარვეზები

2022-2023 წლებში სეზ-ის 8 თანამშრომელზე გაცემული 48,349 ლარის პრემია არ იყო საკმარისად დასაბუთებული, ვინაიდან ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი მოხსენებითი ბარათები, რომლებშიც მითითებული იქნებოდა ინფორმაცია თანამშრომელთა განსაკუთრებულ დატვირთვასა და შესრულებულ სამუშაოზე. შედეგად, სრულყოფილად არ არის გათვალისწინებული სეზ-ში დასაქმებულთა წახალისების წესის მოთხოვნები.

¹ 2016 წლის 16 დეკემბერს შესული ცვლილება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში.

დადგენილზე მეტი ოდენობით გაცემული პრემია

2022 წელს სეზ-ის 12 თანამშრომელზე გაცემულმა პრემიამ 37,704 ლარით გადააჭარბა დადგენილ ზღვარს.² პრემიის ზღვრების მონიტორინგის მიზნით, სეზ-ში შემუშავდა შესაბამისი კონტროლის მექანიზმები.

ზეგანაკვეთურ სამუშაოსთან დაკავშირებული ხარვეზები

2022-2023 წლებში სეზ-ის თანამშრომელთა მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისას არ იყო გათვალისწინებული მოხელეთა სამუშაო დროის ხანგრძლივობისთვის კანონმდებლობით დადგენილი ნორმები.

2023 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში სეზ-ის 43 თანამშრომლის მიერ კვირაში ზეგანაკვეთურად ნამუშევარი 518 საათის მიხედვით გაცემულმა დამატებითმა ანაზღაურებამ 22,427 ლარი შეადგინა, თუმცა დოკუმენტურად არ დასტურდება, რა სახის სამუშაოს შესრულება დაევალიათ მათ. აღსანიშნავია, რომ 2024 წელს სეზ-ში დამტკიცდა ახალი შინაგანაწესი, რომელშიც გათვალისწინებულია ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების და ანაზღაურების წესი.

სეზ-ის თანამშრომელთა წახალისების წესის ხარვეზები

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის³ თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკის აპარატში საქმიანობა საჯარო სამსახურად ითვლება და საქართველოს ეროვნული ბანკის აპარატზე ვრცელდება ამ კანონის მოქმედება, თუ სპეციალური კანონმდებლობით ან მის საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი.⁴

„ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ეროვნული ბანკის მოხელეთა შრომის ანაზღაურების ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს საბანკო სისტემაში არსებული ანაზღაურების დონეს.

ორგანული კანონით დადგენილი⁵ სეზ-ის უფლებამოსილება განსაზღვროს თანამშრომელთა პირების წახალისების წესი, გულისხმობს ამ ინსტიტუციის შესაძლებლობას, შეცვალოს და საკუთარი სპეციფიკის გათვალისწინებით დაადგინოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული წახალისების წესი, რომელიც პრემირებას უკავშირებს შრომის ხარისხს, რაც მოხელის საქმიანობის შეფასების შედეგებით იზომება და შრომის ანაზღაურების გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებს ეხმიანება.

სეზ-ის პრეზიდენტი განსაზღვრავს სეზ-ის თანამშრომლების წახალისების წესს. აღნიშნული წესის შესაბამისად, 2023 წლის აგვისტოსა და დეკემბერში სეზ-ის 604 თანამშრომელზე გაიცა სადღესასწაულო პრემია. უქმე დღეებთან დაკავშირებით თანამშრომელთა პრემირების სეზ-ის მიერ დადგენილი წესი, არ არის სრულ შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან.

² სეზ-ის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული წესით დადგენილია თანამშრომელთა შეფასების შედეგის მიხედვით გასაცემი პრემიის ზღვრები.

³ მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

⁴ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი.

⁵ მუხლი 151, პუნქტი 3.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია საქართველოს ეროვნულ ბანკს

სებ-ის მოსამსახურეთა წახალისების წესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, სებ-მა შეიმუშაოს შესაფერისი ნორმები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება საჯარო სამსახურის ერთიან პრინციპებთან.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაწეული კაპიტალური და ადმინისტრაციული ხარჯები შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა საქართველოს ეროვნული ბანკის კაპიტალური და ადმინისტრაციული ხარჯების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტმა მოიცვა 2022-2023 წლები.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

-)/ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

-)/ სეზ-ის საბჭოს და სეზ-ის პრეზიდენტის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები;
-)/ შიდაორგანიზაციული პოლიტიკები და პროცედურები.

აუდიტის მიზანი

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

- აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:
-)/ აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის და ინფორმაციის შესწავლა-ანალიზი;
 -)/ საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმების შესწავლა-ანალიზი;
 -)/ ინტერვიუები აუდიტის ობიექტის თანამშრომლებთან;
 -)/ მონაცემთა ანალიზი.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

საქართველოს ეროვნული ბანკი არის საქართველოს ცენტრალური ბანკი, ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი. იგი საჯარო სამართლის იურიდიული პირია. ეროვნული ბანკი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონით, საქართველოს კანონმდებლობით და ეყრდნობა საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებულ წესებსა და ჩვევებს. ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა.

ეროვნული ბანკი ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემაა. ეროვნული ბანკი ეკონომიკურად დამოუკიდებელია და ყველა ხარჯს უზრუნველყოფს საკუთარი სახსრებით.

ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოა ეროვნული ბანკის საბჭო. საბჭო უმაღლეს ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობას უწევს ეროვნული ბანკის საქმიანობას. საბჭოს თავმჯდომარეა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. სეზ-ის საბჭო განიხილავს და ამტკიცებს ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯების შესახებ ბიუჯეტს მუხლობრივ წერილში.

ინფორმაცია ეროვნული ბანკის 2022-2023 წლების ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯების ბიუჯეტების⁶ შესახებ მოყვანილია ქვევით მოცემულ ცხრილებში.

ცხრილი N1. ინფორმაცია სეზ-ის 2022-2023 წლების ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ
(ათასი ლარი)

მუხლის დასახელება	გეგმა 2022	ფაქტობრივი ხარჯი 2022	ბიუჯეტის შესრულება 2022	გეგმა 2023	ფაქტობრივი ხარჯი 2023	ბიუჯეტის შესრულება 2023
პერსონალის შენახვის ხარჯები ⁷	38 760,00	35 251,98	90,95%	47 280,00	46 725,78	98,83%
საშტატო ნუსხით გათვალისწინებული რიცხოვნობა ⁸		575			663	
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	9 250,00	8 210,16	88,76%	8 050,00	7 492,65	93,08%
საექსპლუატაციო ხარჯები	8 503,31	6 208,37	73,01%	11 099,83	6 908,02	62,24% ⁹
სამახსოვრო მონეტების მოჭრის ხარჯი	8 248,72	2 939,16	35,63% ¹⁰	5 395,95	5 029,11	93,20%
ბანკის განვითარების ხარჯები	2 072,82	1 184,17	57,13% ¹¹	2 732,88	2 080,27	76,12%
სხვა ხარჯები	1 537,63	1 418,09	92,23%	1 718,58	1 462,02	85,07%
საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	1 133,40	642,83	56,72%	654,87	579,44	88,48%
აქტივების მიმდინარე შეკეთების ხარჯები	972,23	210,4	21,64% ¹²	982,07	478,12	48,68%
სამეურნეო მასალებისა და ინვენტარის შეძენის ხარჯები	211,6	79,32	37,49% ¹³	527,05	441,76	83,82%
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	70 689,71	56 144,48	79,42%	78 441,23	71 197,17	90,76%

ცხრილი N2. ინფორმაცია სეზ-ის 2022-2023 წლების კაპიტალური ხარჯების შესახებ

(ათასი ლარი)

მუხლის დასახელება	გეგმა 2022	ფაქტობრივი ხარჯი 2022	ბიუჯეტის შესრულება 2022	გეგმა 2023	ფაქტობრივი ხარჯი 2023	ბიუჯეტის შესრულება 2023
არამატერიალური აქტივების შეძენა	11 613,12	1 905,86	16,41% ¹⁴	8 782,58	5 727,64	65,22%
ძირითადი საშუალებების შეძენა	8 499,33	2 996,48	35,26%	7 919,26	3 159,91	39,90% ¹⁵
ოქროს საინვესტიციო მონეტებისა და ზოდების დამზადების ხარჯები	3 509,68	-	0,00% ¹⁶	10 390,00	10 202,30	98,19%
უძრავი ქონება	-	-	-	-	-	-
სულ კაპიტალური ხარჯები	23 622,13	4 902,34	20,75%	27 091,84	19 089,85	70,46%

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილებიდან ჩანს, სეზ-ის ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯების¹⁷ ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელი 2023 წელს, წინა წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია, თუმცა 2022-2023 წლებში ბიუჯეტის ცალკეული მუხლის შესრულება 90%-ზე¹⁸ ნაკლებია. აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ სეზ-ში არსებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, ფაქტობრივი ხარჯი აღიარდება საქონლის/მომსახურების მიღების მომენტში, ხოლო დაგეგმვისას ბიუჯეტში სრული ღირებულებით აისახება ყველა ის პროექტი, ღონისძიება და ხარჯი, რომელთა წამოწყება/ჩატარება/გაწევა მოსალოდნელია საბიუჯეტო წელს, რათა საანგარიშო პერიოდში პროდუქტის სრულად მიღების შემთხვევაში სეზ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს შესაბამისი რესურსი.

⁶ „საქართველოს ეროვნული ბანკის წლის საფინანსო გეგმის, ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯების ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2012 წლის 28 სექტემბრის N26 განკარგულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ბანკის ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯების ბიუჯეტის შედგენისას გამოიყენება დაგეგმვის მეთოდები, რომლებიც პასუხობს ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების საერთაშორისო ნორმებს. შესაბამისად, ცხრილში წარმოდგენილი თანხები არ წარმოადგენს ე.წ. „საკასო ხარჯს“.

⁷ მუხლი „პერსონალის შენახვის ხარჯები“ მოიცავს შტატით გათვალისწინებულ და ხელშეკრულებით დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებას, მატერიალურ დახმარებას, ჯანმრთელობის დაზღვევის და სხვა გასაცემლების ხარჯებს.

⁸ მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია 2022 წლის 1 იანვრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

⁹ ბიუჯეტის შესრულების დაბალი მაჩვენებელი ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებიდან გამომდინარე, გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულებებიდან 2023 წელს აღიარდა მხოლოდ ხარჯების ნაწილი, ხოლო დარჩენილი ნაწილი ხარჯად აღიარდება მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში.

¹⁰ მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, სეზ-ისთვის საკოლექციო დანიშნულების მონეტების მიწოდება დაგეგმილი იყო 2022 წელს, თუმცა აღნიშნული ფასულობები სეზ-ს მიეწოდა და შესაბამისად, ხარჯებში აისახა 2023 წელს.

¹¹ ბიუჯეტის შესრულების დაბალი მაჩვენებელი ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2022 წელს აღდგა COVID-19-ის პანდემიის გამო დროებით შეჩერებული საერთაშორისო ტრენინგები, რამაც განაპირობა მოლოდინი იმისა, რომ გაიზრდებოდა თანამშრომელთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯები ქვეყნის გარეთ, თუმცა წლის ბოლომდე გაწეულ იქნა ხარჯი მცირე ოდენობით.

¹² ბიუჯეტის შესრულების დაბალი მაჩვენებელი ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მოსალოდნელი სამუშაოების ფაქტობრივი საჭიროება მეტი მოცულობით არ დამდგარა.

¹³ ბიუჯეტის შესრულების დაბალი მაჩვენებელი ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ დაგეგმილზე ნაკლები ხარჯი გაწეულ იქნა სამედიცინო მასალებისა და ანტიბაქტერიული სითხეების შეძენაზე.

¹⁴ საანგარიშო პერიოდში გაფორმდა ხელშეკრულებები არამატერიალური აქტივების შეძენაზე, თუმცა პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების უდიდესმა ნაწილმა გადაინაცვლა მომდევნო წლებში.

¹⁵ 2022-2023 წლებში კაპიტალური ხარჯების ბიუჯეტის შესრულების დაბალი მაჩვენებელი ძირითადად გამოწვეული იყო სხვადასხვა მსხვილი პროექტის გადავადებით და შესყიდული აქტივების ფაქტობრივი მიწოდების მომდევნო საბიუჯეტო წლებში გადანაცვლებით.

¹⁶ მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, სეზ-ისთვის საინვესტიციო მონეტების მიწოდება დაგეგმილი იყო არაუგვიანეს 2022 წლის 31 ოქტომბრისა, თუმცა აღნიშნული ფასულობები სეზ-ს მიეწოდა და შესაბამისად, ხარჯებში აისახა 2023 წელს.

¹⁷ ადმინისტრაციულ და კაპიტალურ ხარჯებს მიეკუთვნება ყველა ხარჯი, გარდა იმ ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელებასთან და ნაღდი ფულით ეკონომიკის უზრუნველყოფასთან.

¹⁸ სეზ-ში არსებული პრაქტიკით, განმარტებების წარმოდგენა სავალდებულოა, როდესაც ბიუჯეტის ცალკეული მუხლის საპროგნოზო და ფაქტობრივი ხარჯების შორის სხვაობა 10%-ს აღემატება.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 შესყიდვები

2.1.1 შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის ხარვეზები

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ბაზარზე არსებული მდგომარეობის მოკვლევა – ბაზრის კვლევა. ბაზრის კვლევის პროცესი, შესაბამისი მეთოდების გათვალისწინებით, უნდა წარიმართოს იმგვარად, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას შეეძლოს მაქსიმალურად სრულყოფილი სურათი შესყიდვის სავარაუდო ღირებულების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ელექტრონული ტენდერის წარმატებით ჩატარებას. ელექტრონული ტენდერის გამოცხადებისას, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი ბაზრის კვლევის შედეგად მოკვლეული (ადეკვატური, რეალისტური) ფასების საშუალო არითმეტიკულს.¹⁹

ფაქტობრივი გარემოება: სეზ-ის მიერ ელექტრონული ტენდერის პროცედურების საშუალებით განხორციელებული შესყიდვების ჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამ 15,463,918 ლარი²⁰ შეადგინა, მათ შორის, 2022 წელს – 6,390,508 ლარი, ხოლო 2023 წელს – 9,073,410 ლარი.

ქვემოთ მოცემულ N3 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია 2022-2023 წლებში სეზ-ის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეთა რაოდენობაზე, შესყიდვის სავარაუდო და სახელშეკრულებო ღირებულებებზე.

ცხრილი N3.

წელი	მონაწილეთა რაოდენობა	ხელშეკრულებ ის რაოდენობა	შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	ხელშეკრულების საწყისი ღირებულება	ფასის კლება
2022 წელი	1	32	4 664 904	4 607 901	1%
	2	20	1 059 621	828 236	22%
	3	8	816 110	607 952	26%
	4	4	86 972	71 019	18%
	5	1	58 000	45 400	22%
	6	1	300 300	230 000	23%
სულ 2022წ.		66	6 985 907	6 390 508	9%
2023 წელი	1	56	6 134 441	5 836 645	5%
	2	21	2 395 735	2 051 553	14%
	3	9	525 779	484 734	8%
	4	3	192 380	144 037	25%
	5	2	645 500	469 005	27%
	6	2	105 770	67 486	36%
	10	1	34 650	19 950	42%
სულ 2023წ.		94	10 034 255	9 073 410	10%
სულ		160	17 020 162	15 463 918	9%

2022-2023 წლებში ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელებულ შესყიდვებზე სეზ-ის მიერ ბაზრის კვლევა, შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციების გათვალისწინებით, ჩატარებული იყო პოტენციურ მიმწოდებლებთან უშუალოდ კომუნიკაციით და მათგან წერილობითი შეთავაზების გამოთხოვით, აგრეთვე სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში²¹ ინფორმაციის განთავსებით. შესყიდვის სავარაუდო

¹⁹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციები ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას ბაზრის კვლევის განხორციელებასთან დაკავშირებით, 19.04.2023.

²⁰ მოცემულ თანხაში არ არის გათვალისწინებული პრეისკურანტის საშუალებით გამოცხადებული და „საიდუმლო“ გრიფის მქონე ტენდერები.

²¹ www.research.spa.ge

ღირებულების დადგენისას, სეზონობის მიხედვით²² ხელმძღვანელობდა ბაზრის კვლევისას წარმოდგენილი უმცირესი ფასით. მიუხედავად ამისა, რიგ შემთხვევებში შესყიდვის სავარაუდო ღირებულება ვერ განისაზღვრა საბაზრო ღირებულებასთან მაქსიმალურად მიახლოებული თანხით, კერძოდ: 2022-2023 წლებში შემდგარ 160 ტენდერში ფასის კლებამ 1,556,244 ლარი შეადგინა, საიდანაც 38 შემთხვევაში²³ შესყიდვის ღირებულება 20%-ზე მეტით შემცირდა. მიღებულმა სხვაობამ სახელშეკრულებო და შესყიდვის სავარაუდო ღირებულებებს შორის 1,138,023 ლარი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დადგენისას, გამონაკლის შემთხვევებში,²⁴ სეზონის მიერ მეტი კონკურენციის უზრუნველსაყოფად, გამოყენებული იყო საშუალო ფასიც. 2022-2023 წლებში სეზონის სათავე და საოფისე შენობებში არსებული სხვადასხვა სახის დანადგარების და სისტემების ტექნიკური მომსახურების მიზნით გამოცხადებულ ორ ტენდერში,²⁵ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა პოტენციურ მიმწოდებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებული ორი შემოთავაზების საშუალო არითმეტიკული, შესაბამისად, 156,000 ლარი და 92,400 ლარი. ორივე ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა და გამარჯვებულად გამოცხადდა ის კომპანია, რომელმაც ბაზრის კვლევისას სეზონ-ს შესთავაზა უმცირესი ფასი, შესაბამისად, 144,000 ლარი და 84,000 ლარი. მიუხედავად იმისა, რომ სეზონ-ს არ დაურღვევია შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციები ბაზრის კვლევისასთან დაკავშირებით, ზემოთ აღნიშნული ორი ტენდერის ფარგლებში სეზონ-ს შესაძლოა ჰქონოდა საშუალება მომსახურება შეეძინა 20,400 ლარით ნაკლები ღირებულებით.

დასკვნა

საბაზრო ღირებულებასთან მაქსიმალურად მიახლოებული შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა მნიშვნელოვანია შესყიდვის წარმატებით ჩატარებისა და სეზონის რესურსების არაეკონომიურად განკარგვის რისკების მინიმიზაციისთვის. მიუხედავად იმისა, რომ 2022-2023 წლებში ტენდერის საშუალებით შესყიდვის განხორციელებისას სეზონის ითვალისწინებდა შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციებს ბაზრის კვლევისასთან დაკავშირებით, რიგ შემთხვევებში შესყიდვის სავარაუდო ღირებულება ვერ განისაზღვრა საბაზრო ღირებულებასთან მაქსიმალურად მიახლოებული თანხით და დაფიქსირდა ფასების მნიშვნელოვანი კლება.

ორი ტენდერის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, რომ სეზონ-ს არ დაურღვევია შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციები ბაზრის კვლევისასთან დაკავშირებით, სეზონ-ს შესაძლოა ჰქონოდა საშუალება მომსახურება შეეძინა 20,400 ლარით ნაკლები ღირებულებით.

2.1.2 გამარტივებული შესყიდვების მოსამზადებელ სამუშაოებთან დაკავშირებული ხარვეზები

კრიტერიუმი: ყოველი შესყიდვის განხორციელების პროცედურების დაწყებამდე (გარდა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შესყიდვებისა), წლიური გეგმის შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაცია ატარებს მოსამზადებელ სამუშაოებს. განსახორციელებელი შესყიდვის მოსამზადებელი სამუშაოები ტარდება შესყიდვის ობიექტის მახასიათებლების, გამარტივებული შესყიდვის ღირებულების, შესყიდვის განხორციელების საშუალების და დაფინანსების მოცულობის დაზუსტების/დადგენის,

²² ჩვენ მიერ 2022 წელს შესწავლილი 42 ტენდერიდან უმცირესი ფასი გამოყენებული იყო 33 შემთხვევაში, ხოლო 2023 წელს შესწავლილი 46 ტენდერიდან - 44 შემთხვევაში.

²³ 2022 წელს 18 ტენდერის შემთხვევაში, ხოლო ხოლო 2023 წელს - 20 შემთხვევაში. საგულისხმოა, რომ ზოგიერთ ტენდერში ფასები მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგალითად: NAT220027260 - 33%, NAT210023581 - 38%, NAT210022416 - 39%, NAT220026992 - 57%, NAT230026183 - 59%, NAT210022415 - 62%, NAT210022417 - 71%.

²⁴ ამგვარი პრაქტიკა დამკვიდრებული იყო ისეთი შესყიდვების დროს, როდესაც ბაზრის კვლევისას წარმოდგენილი შეთავაზებები უმნიშვნელოდ (10-15%-ის ფარგლებში) განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ჩვენ მიერ 2022 წელს შესწავლილი 42 ტენდერიდან საშუალო ფასი გამოყენებული იყო 9 შემთხვევაში, ხოლო 2023 წელს შესწავლილი 46 ტენდერიდან - 2 შემთხვევაში.

²⁵ NAT210022413, NAT210022414.

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადების მიზნით.²⁶

ფაქტობრივი გარემოება: სეზ-ის მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებული შესყიდვების ჯამურმა ღირებულებამ 1,839,900 ლარი შეადგინა, მათ შორის, 2022 წელს – 789,518 ლარი, ხოლო 2023 წელს – 1,050,382 ლარი.

2022-2023 წლებში რიგ შემთხვევებში, კერძოდ მონეტარული ზღვრების ფარგლებში განხორციელებულ 34,625 ლარის²⁷ გამარტივებულ შესყიდვებთან დაკავშირებით, სეზ-მა ვერ წარმოადგინა შესყიდვის განხორციელებამდე ობიექტის მახასიათებლების და ღირებულების დადგენის მიზნით ჩატარებული სამუშაოების დოკუმენტაცია.

დასკვნა

2022-2023 წლებში მონეტარული ზღვრების ფარგლებში განხორციელებულ 34,625 ლარის გამარტივებულ შესყიდვებთან დაკავშირებით, სეზ-ის მიერ არ არის სრულყოფილად შესრულებულ შესყიდვასთან დაკავშირებული სამუშაოები, ვინაიდან სეზ-მა ვერ წარმოადგინა შესყიდვის განხორციელებამდე ობიექტის მახასიათებლების და ღირებულების დადგენის მიზნით ჩატარებული სამუშაოების დოკუმენტაცია.

2.2 შრომის ანაზღაურება

2022-2023 წლებში სეზ-ში „პერსონალის შენახვის ხარჯების“ მუხლით გაწეულმა ფაქტობრივმა ხარჯმა 81,977,761 ლარი შეადგინა, რომლის სტრუქტურა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ N4 ცხრილში.

ცხრილი N4.

	2022 წელი	2023 წელი
<i>სამტატო ნუსხით მომუშავეთა რიცხოვნობა²⁸</i>	575	663
ბანკის თანამშრომელთა ხელფასის ხარჯები	24,506,648	26,939,436
დროებით მუშაკთა შრომის ანაზღაურების ხარჯები	2,992,639	4,393,755
თანამშრომელთა პრემირების ხარჯები (ბანკის ხელმძღვანელობის გარდა)	2,667,726	9,050,990 ²⁹
შვებულებებისა და საავადმყოფო ფურცლების ხარჯები	2,509,364	3,193,463
სხვა გასაცემლების ხარჯები	1,495,894	1,594,972
საპენსიო სქემის მიხედვით სავალდებულო შენატანების ხარჯები	631,566	844,414
სოციალური გასაცემლების ხარჯები (მატერიალური დახმარება)	169,828	184,156
სულ	35,251,983	46,725,778

2.2.1 სეზ-ის საბჭოს წევრთა დამატებითი სარგოს ოდენობის განსაზღვრა

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობით,³⁰ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის დამატებითი სარგოს ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტი. საქართველოს პარლამენტის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტით ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის დამატებითი სარგოს ოდენობის განსაზღვრამდე, ეროვნული ბანკის საბჭო უფლებამოსილია განსაზღვროს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის დამატებითი სარგოს ოდენობა.³¹

²⁶ „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი.

²⁷ 2022 წელს 3 ხელშეკრულების ფარგლებში - 10,591 ლარი, ხოლო 2023 წელს 6 ხელშეკრულების ფარგლებში - 24,035 ლარი.

²⁸ მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია 2022 წლის 1 იანვრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

²⁹ 2023 წელს მუხლის - „თანამშრომელთა პრემირების ხარჯები“ ზრდა წინა წელთან შედარებით ძირითადად გამოწვეულია 2023 წელს სადღესასწაულო პრემიის გაცემით.

³⁰ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლი.

³¹ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 70-ე მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტები.

ფაქტობრივი გარემოება: 2016 წელს საქართველოს პარლამენტს მიენიჭა უფლებამოსილება,³² განესაზღვრა სეზ-ის საბჭოს წევრთა დამატებითი სარგო, თუმცა აღნიშნული სარგოს ოდენობა პარლამენტს შესაბამისი სამართლებრივი აქტით არ დაუმტკიცებია. შესაბამისად, 2016 წელს სეზ-ის საბჭოს წევრთა დამატებითი სარგო 6,500 ლარის ოდენობით დადგინდა საბჭოს მიერ.³³ ხოლო 2022 წლის ნოემბერში³⁴ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით 2023 წლიდან მისი ოდენობა განისაზღვრა³⁵ 10,400 ლარით. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის მოთხოვნები არ დარღვეულა, მნიშვნელოვანია სეზ-ის საბჭოს წევრთა დამატებითი სარგოს ოდენობა დაადგინოს პარლამენტმა.

დასკვნა

სეზ-ის საბჭოს წევრთა დამატებითი სარგოს ოდენობა საქართველოს პარლამენტს შესაბამისი სამართლებრივი აქტით არ დაუმტკიცებია და აღნიშნული განსაზღვრა თავად საბჭომ, რომლის მიერ 2022 წლის ნოემბერში მიღებული გადაწყვეტილებით 2023 წლიდან ანაზღაურების ოდენობა 6,500 ლარიდან გაიზარდა 10,400 ლარამდე. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის მოთხოვნები არ დარღვეულა, მნიშვნელოვანია სეზ-ის საბჭოს წევრთა დამატებითი სარგოს ოდენობა დაადგინოს პარლამენტმა.

2.2.2 პრემიის დასაბუთებასთან დაკავშირებული ხარვეზები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობით,³⁶ ეროვნულ ბანკში დასაქმებულის წახალისების და პრემირების წესი განისაზღვრება ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით.³⁷ სეზ-ში მოქმედი წესის³⁸ მიხედვით, როგორც გამონაკლისი, სეზ-ის თანამშრომელზე პრემია გაიცემა საქმიანობის სპეციფიკიდან და მაღალი დონის დატვირთულობიდან გამომდინარე. ასეთ შემთხვევაში, პრემიის საფუძველია კურატორი ვიცე-პრეზიდენტის, აღმასრულებელი დირექტორის ან პრეზიდენტის აპარატის უფროსის მოხსენებითი ბარათი.

ფაქტობრივი გარემოება: 2022-2023 წლებში სეზ-ის 8 თანამშრომელზე გაცემული 48,349 ლარის პრემია³⁹ არ იყო საკმარისად დასაბუთებული, ვინაიდან ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი მოხსენებითი ბარათები, რომლებშიც მითითებული იქნებოდა ინფორმაცია თანამშრომელთა განსაკუთრებულ დატვირთვასა და შესრულებულ სამუშაოზე.

დასკვნა

2022-2023 წლებში სეზ-ის თანამშრომელთა მიერ შესრულებული განსაკუთრებული სამუშაოსთვის გაცემული 48,349 ლარის პრემია არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

2.2.3 დადგენილზე მეტი ოდენობით გაცემული პრემია

კრიტერიუმი: 2022 წელს სეზ-ში მოქმედი წესის⁴⁰ მიხედვით, თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომელი მოხვდება კატეგორიაში – „შესაბამება მოლოდინს“, მასზე გაიცემა პრემია, ხელფასის არაუმეტეს ორმაგი ოდენობისა.

³² 2016 წლის 16 დეკემბრის შესული ცვლილება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში.

³³ „საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა დამატებითი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ სეზ-ის საბჭოს 2016 წლის 30 დეკემბრის განკარგულება.

³⁴ სეზ-ის საბჭოს 2022 წლის 11 ნოემბრის N18 სხდომის მიხედვით, სეზ-ის საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია 2023 წლიდან სეზ-ის საბჭოს წევრთა დამატებითი სარგოს გაზრდა იმ პროპორციით (60%), რომლითაც სეზ-ის თანამშრომელთა ხელფასები გაიზარდა 2016 წელთან შედარებით.

³⁵ „საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა დამატებითი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ სეზ-ის საბჭოს 2022 წლის 11 ნოემბრის N25 განკარგულება.

³⁶ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 15¹ მუხლის მე-3 პუნქტი.

³⁷ ეროვნული ბანკის თანამშრომლებს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, პრემია მიეცემა „საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომელთა მიზნების დასახვის და საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებების მიხედვით, რომლებიც მოქმედებდა 2022-2023 წლებში.

³⁸ 2022-2023 წლებში მოქმედი „საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომელთა მიზნების დასახვის და საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებების მე-10 მუხლის პირველი პუნქტი.

³⁹ 2022 წელს სეზ-ის 2 თანამშრომელზე გაიცა 15,446 ლარის პრემია, ხოლო 2023 წელს 6 თანამშრომელზე - 32,903 ლარის პრემია. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებები: N154/05, 03.05.2022; N533/05, 30.11.2023.

⁴⁰ „საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომელთა მიზნების დასახვის და საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 7 დეკემბრის N170/04 ბრძანების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი.

დასკვნა

ფაქტობრივი გარემოება: 2022 წელს სეზ-ის 12 თანამშრომელზე, რომელთა შეფასების შედეგი იყო „შეესაბამება მოლოდინს“, გაცემულმა პრემიამ 37,704 ლარით გადააჭარბა მათი ხელფასის ორმაგ ოდენობას, რითაც არ არის გათვალისწინებული თანამშრომელთა წახალისების წესის მოთხოვნები.

2022 წელს რამდენიმე შემთხვევაში არ იყო დაცული პრემიის ზღვრები და სეზ-ის 12 თანამშრომელზე გაცემულმა პრემიამ 37,704 ლარით გადააჭარბა მათი ხელფასის ორმაგ ოდენობას. პრემიის ზღვრების მონიტორინგის მიზნით, სეზ-ში შემუშავდა შესაბამისი კონტროლის მექანიზმები.

**2.2.4 ზეგანაკვეთურ
სამუშაოსთან
დაკავშირებული
ხარვეზები**

კრიტერიუმი: 2022-2023 წლებში სეზ-ში მოქმედი შინაგანაწესის მიხედვით, ბანკის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით დასვენების და უქმე დღეების სამუშაოდ გამოცხადება დასაშვებია იყო მხოლოდ გადაუდებელი ან ისეთი სამუშაოების შესასრულებლად, რომელთა შეჩერება შეუძლებელია. აღნიშნულ შემთხვევაში, სამუშაოს შესრულება მიიჩნეოდა ზეგანაკვეთურად.

მოქმედი კანონმდებლობით,⁴¹ მოხელის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაო სრულდება მხოლოდ მოხელის ზემდგომი თანამდებობის პირის წერილობითი დავალების საფუძველზე. მოხელის სამუშაო დროის ხანგრძლივობა დღეში არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს, ხოლო კვირაში – 40 საათს.⁴² მოხელის სამუშაო დროის ხანგრძლივობა ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების დროსთან ერთად არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 48 საათს.⁴³

ფაქტობრივი გარემოება: 2022-2023 წლებში სეზ-ის ზოგიერთ თანამშრომელს დავალებული⁴⁴ ჰქონდა სამუშაოს შესრულება შაბათ-კვირას, რითაც მათი სამუშაო დროის ხანგრძლივობამ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების დროსთან ერთად გადააჭარბა კვირაში 48 საათს.⁴⁵

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2023 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში სეზ-ის 43 თანამშრომლის მიერ კვირაში ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების მიხედვით გაცემულმა დამატებითმა ანაზღაურებამ 22,427 ლარი შეადგინა. სეზ-ის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია თუ რა სახის ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება დაევალით თანამშრომლებს.⁴⁶ საგულისხმოა, რომ 8 თანამშრომლის სამუშაო დროის ხანგრძლივობამ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების დროსთან ერთად კვირაში 48 საათს გადააჭარბა.⁴⁷

დასკვნა

2022-2023 წლებში სეზ-ის თანამშრომელთა მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისას არ იყო გათვალისწინებული მოხელეთა სამუშაო დროის ხანგრძლივობისთვის კანონმდებლობით დადგენილი ნორმები. 2023 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში სეზ-ის 43 თანამშრომლის მიერ კვირაში ზეგანაკვეთურად ნამუშევარი 518 საათის მიხედვით გაცემულმა დამატებითმა ანაზღაურებამ 22,427 ლარი შეადგინა, თუმცა დოკუმენტურად არ დასტურდება, თუ რა სახის სამუშაოს შესრულება დაევალით მათ. აღსანიშნავია, რომ 2024 წელს სეზ-ში დამტკიცდა ახალი შინაგანაწესი,⁴⁸ რომელშიც გათვალისწინებულია ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების და ანაზღაურების წესი.

⁴¹ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁴² „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁴³ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁴⁴ სეზ-ის სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირების მიერ სეზ-ის ხელმძღვანელობისთვის წარდგენილ მოხსენებით ბარათებში მითითებული იყო თანამშრომელთა მიერ დასვენების ან უქმე დღეებში სამუშაოს შესრულების აუცილებლობაზე.

⁴⁵ ერთი დღის ზეგანაკვეთური სამუშაო თანამშრომლებზე ანაზღაურებული იყო 8 საათის მიხედვით ხელფასის საათობრივი განაკვეთის 1,5-ის ოდენობით.

⁴⁶ სეზ-ის სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირების მიერ სეზ-ის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლისთვის წარდგენილ მოხსენებით ბარათებში მითითებულია, რომ „თანამშრომლებმა იმუშავეს ზეგანაკვეთურად, რაც დასტურდება შესვლა-გასვლის ელექტრონული პროგრამის საშუალებით.“

⁴⁷ 8 თანამშრომლის მიერ კვირაში 48 საათის ზევით ნამუშევარი საათების მიხედვით გაცემულმა ანაზღაურებამ 1,513 ლარი შეადგინა.

⁴⁸ „საქართველოს ეროვნული ბანკი შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 21 ივნისის N155/04 ბრძანება.

2.2.5 სეზ-ის თანამშრომელთა წახალისების წესის ხარვეზები

კრიტერიუმი: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის⁴⁹ თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკის აპარატში საქმიანობა საჯარო სამსახურად ითვლება და საქართველოს ეროვნული ბანკის აპარატზე ვრცელდება ამ კანონის მოქმედება, თუ სპეციალური კანონმდებლობით ან მის საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი.⁵⁰

მოხელის შრომის ანაზღაურება მოიცავს ფულად ჯილდოს. შრომის ანაზღაურების სისტემა ემყარება გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებს, რომლის უზრუნველყოფის მექანიზმია მოხელის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება და შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, მისი წახალისების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.⁵¹

„ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად,⁵² ეროვნული ბანკის მოხელეთა შრომის ანაზღაურების ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს საბანკო სისტემაში არსებული ანაზღაურების დონეს.

ფაქტობრივი გარემოება: მოქმედი კანონმდებლობით,⁵³ სეზ-ის პრეზიდენტი განსაზღვრავს ეროვნული ბანკის თანამშრომელთა წახალისების და პრემირების წესს.⁵⁴ აღნიშნული წესის თანახმად, შეფასების შედეგებთან დაკავშირებული პრემირების გარდა, შესაძლებელია წელიწადში ორჯერ - საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ უქმე დღეებთან დაკავშირებით დამატებითი პრემიის გაცემა.⁵⁵ 2023 წლის აგვისტოსა და დეკემბერში სეზ-ის 604 თანამშრომელზე გაიცა სადღესასწაულო პრემია.

მიუხედავად იმისა, რომ სეზ-ის განმარტებით აღნიშნული ემსახურება ეროვნულ ბანკში კონკურენტული ანაზღაურების შენარჩუნებას, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი შრომის ანაზღაურების ცნების განსხვავებულ ნორმატიულ შინაარსს არ ადგენს და მაშასადამე, ამ კანონში⁵⁶ გამოყენებული შრომის ანაზღაურების ცნება, რომელიც ასევე მოიცავს თანამშრომელთა პრემიას, განიმარტება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ამასთანავე, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი⁵⁷ სეზ-ის უფლებამოსილება განსაზღვროს თანამშრომელთა წახალისების წესი, გულისხმობს ამ ინსტიტუციის შესაძლებლობას, შეცვალოს და საკუთარი სპეციფიკის გათვალისწინებით დაადგინოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული წახალისების წესი, თუმცა ფულადი ჯილდოს მიცემა (პრემირება) მოხელის საქმიანობის შეფასების შედეგებით უნდა გაიზომოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უქმე დღეებთან დაკავშირებით თანამშრომელთა პრემირების სეზ-ის მიერ დადგენილი წესი, არ არის სრულ შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან.

დასკვნა

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის⁵⁸ თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკის აპარატში საქმიანობა საჯარო სამსახურად ითვლება და სეზ-ის პრეზიდენტი განსაზღვრავს სეზ-ის თანამშრომლების წახალისების წესს.

⁴⁹ მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

⁵⁰ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი.

⁵¹ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე და 59-ე მუხლები.

⁵² მუხლი 19, პუნქტი 1.

⁵³ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 15¹ მუხლის მე-3 პუნქტი.

⁵⁴ „საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომლებისათვის პრემიისა და დახმარების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ სეზ-ის პრეზიდენტის 2017 წლის 7 დეკემბრის N166/04 ბრძანება.

⁵⁵ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი. პრემია გაიცემა თანამდებობრივი სარგოს/შრომის ანაზღაურების არაუმეტეს ერთმაგი ოდენობისა.

⁵⁶ 15¹ და მე-19 მუხლები.

⁵⁷ მუხლი 15¹, პუნქტი 3.

⁵⁸ მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

რეკომენდაცია

აღნიშნული წესის შესაბამისად, 2023 წლის აგვისტოსა და დეკემბერში სეზ-ის 604 თანამშრომელზე გაიცა სადღესასწაულო პრემია. უქმე დღეებთან დაკავშირებით თანამშრომელთა პრემირების სეზ-ის მიერ დადგენილი წესი, არ არის სრულ შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან.

სეზ-ის მოსამსახურეთა წახალისების წესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, სეზ-მა შეიმუშაოს შესაფერისი ნორმები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება საჯარო სამსახურის ერთიან პრინციპებთან.

აუდიტორები**ხელმოწერა**


ვახტანგ პერტაია
მთავარი აუდიტორი

 12.12.2024

მერაბ ზაიცევი
წამყვანი აუდიტორი

 12.12.2024

მანანა ღვინაძე
უფროსი აუდიტორი

 12.12.2024

გიორგი მურვანიძე
უფროსი აუდიტორი

 12.12.2024

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და
სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE